

ავტომობილის ზეინკლის მოსამზადებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (040772)

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა.

II. პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 45 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ), სულ 1125 საათი.

აქედან:

სასწავლო კომპონენტისათვის 452 საათი; დამოუკიდებელი მუშაობისათვის – 135 საათი; ტესტირებისა და გამოცდისათვის – 40 საათი; პრაქტიკის კომპონენტისათვის – 498 საათი.

V. პროგრამის დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე სასწავლებლად დაშვების მინიმალური პირობაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზისო განათლება.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მესამე საფეხურის ავტომობილის ზეინკალი, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს ავტომობილის ზოგადი დიაგნოსტიკის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის წინასწარ დაგეგმილი სამუშაოები.

VII. სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს საავტომობილო ტექნიკის ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ავტომობილების კონსტრუქციების მუშა პროცესებს. ავტომობილის შენახვის მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს სპეციალიზაციის პროფესიული საქმიანობის ფარგლებში
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ ან მის გარეშე შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები, ავტომობილების მოვლა-შენახვის კუთხით, ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია სასტენდო გამოცდების მითითებების გათვალისწინებით სამუშაოს პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა სპეციალიზაციის სფეროში
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ასევე უცხოურ ენას საბაზო დონეზე
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა
ღირებულებები	იცნობს ავტომობილის შემკეთებლის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს

VIII. სწავლის შედეგების რუკა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ავტომობილის ზეინკლის სამუშაოები(ავტომობილების დიაგნოსტიკა;ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;ავტომობილები;სატრანსპორტო ძრავები)	X	X	X	X	X	X
ხაზვა	X	X				X
კომპიუტერიული ტექნოლოგიები	X	X	X	X		
უცხო ენა	X		X	X		
პრაქტიკა	X	X	X	X	X	X

IX. სწავლების რუკა

ს ა გ ა ნ ი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება					სულ საათების რაოდენობა	
		საკონტაქტო საათები						
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		დამოუკიდებელი საათები
ავტომობილის ზეინკლის სამუშაოები(ავტომობილების დიაგნოსტიკა;ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;ავტომობილები;სატრანსპორტო ძრავები)	15	290	32			8	45	375
ხაზვა	2	36				8	6	50

კომპიუტერული ტექნოლოგიები	3	58				8	9	75
უცხო ენა	2	36				8	6	50
პრაქტიკა	23			199	299	8	69	575
სულ	45	420	32	199	299	40	135	1125

X. პროფესიული სტუდენტების სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დაწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- ლაბორატორიულ სამუშაოებს;
- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედურ და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვალოს:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91 % და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 %;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 %;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 %;

უარყოფით შეფასებად ჩაითვალოს:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს უარყოფითი შეფასების შემთხვევაში გავიდეს დამატებით გამოცდაზე (დასკვნით გამოცდაზე) არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება;
- დასკვნითი შეფასება.

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;
- დაკვირვება და დემონსტრირება

XII. სწავლების მეთოდები:

- თეორიული სწავლება;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- ლაბორატორიული სამუშაო;
- სასწავლო პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკა.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ავტომობილის ზეინკლის სამუშაოები(ავტომობილების დიაგნოსტიკა;ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;ავტომობილები;სატრანსპორტო ძრავები)/პრაქტიკა	ინდიკო აბაშიძე	ტექნიკის მეცნ. დოქტორი
	რომან მამულაძე	ტექნიკის მეცნ. კანდიდატი
ხაზვა	ინაშარიძე ქეთევანი	დოქტორი
კომპიუტერული ტექნოლოგიები	ჩავლეშვილი გოჩა	დოქტორი
უცხო ენა	ბაბაიანი დიმიტრი	ინგლისური ენის სპეციალისტი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღი, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პრეზენტაციები და ვიდეოფილმები). საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობა, მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა #12.

XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა განხორციელდება სწავლების პროცესში ქვემოთ მოყვანილი კომპანიების ბაზაზე:

ქ. ბათუმი, შ.პ.ს. „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ მემორანდუმი სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

XVI. სწავლების გაგრძელების შესაძლებლობა

III საფეხურის ავტომობილის ზეინკლის პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა IVსაფეხურის ავტომობილის ზეინკლის პროგრამით.

